KA021787078187819

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

ბრძანება

N1/1-1632 19 / ივნისი / 2019 წ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ რატევანში არსებული 6979 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობების ელექტრონული აუქციონის ფორმით იჯარით გაცემის შესახებ

საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და 36-ე მუხლის პირველი პუნქტის, ,,სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურისა და სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 10 დეკემბრის №328 დადგენილების, "სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის №1-1/172 ბრძანებით დამტკიცებული წესის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ანაზღაურებისა და ამონაგები თანხის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №393 დადგენილების, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებისა და "სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსთვის" უფლებამოსილების მინიჭების შესახებ" საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის №1-1/1835 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბოლნისის მუნიციპალიტეტში, სოფელ რატევანში არსებული 6979 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული N1 და N2 (ნანგრევი) შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი № 80.09.63.033) იჯარის უფლებით გაცემა განხორციელდეს ელექტრონული აუქციონის ფორმით, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 წლის ვადით.

2. საწყის ყოველწლიურ საიჯარო ქირად დადგინდეს 2 200 ლარი.

3. ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადასახდელი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს ოდენობა დადგინდეს 550 ლარით, ხოლო სავაჭრო ბიჯის ოდენობა განისაზღვროს 60 ლარით.

4. წლიური საიჯარო ქირის 1/12 ნაწილი მოიჯარემ უნდა გადაიხადოს ყოველთვიურად, ყოველი თვის ხუთ რიცხვამდე.

5. მეიჯარე უფლებამოსილია, შეწყვიტოს გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება ვადაზე ადრე, რაზეც 1 (ერთი) თვით ადრე მოიჯარეს უნდა გაეგზავნოს წერილობითი შეტყობინება. ამ შემთხვევაში, მოიჯარის მიერ ქონებაზე გაწეული ხარჯები არ ანაზღაურდება.

6. საიჯარო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სარგებლობის უფლების მიმღების მიერ ელექტრონულ აუქციონში მონაწილეობის მისაღებად გადახდილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბე-ს თანხა სრულად ირიცხება შესაბამის ბიუჯეტში.

7. დამტკიცდეს აუქციონის ჩატარების შესახებ გამოსაქვეყნებელი განცხადება (თან ერთვის) და დაევალოს პრივატიზების დეპარტამენტს შესაბამისი განცხადების გამოქვეყნება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. საიჯარო ქონება განისაზღვროს სახელმწიფო მნიშვნელობის ქონებად.

9. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეიძლება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (მისამართი:ქ. თბილისი, 0114, სანაპიროს ქუჩა N2) და შემდგომ თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6) კანონმდებლობით დადგენილი წესით ერთი თვის ვადაში.

სახელმწიფო ქონების პრივატიზების
დეპარტამენტის უფროსი

ხელმოწერილია/
მტამპდასმულია
ელექტრონულად

ზურაბ წიქვაძე